გო გაფლანგვას მოასწავებს, მაშინ რო-
დესაც საერთო გაფიცვა სულ მოკლე
ხანში გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა.
მარა ყოველივე ეს აწონილ დაწონილი
უნდა იქნეს და არა ერთხელ და სამუ-
დამოთ გაზეპირებული. მაგალ., არის
შემთხვევები, როცა ერთი სახელოსნოს
ერთი რომელიმე პროფესიის გაფიცვა
მთელი ზაოდის მუშაობას აჩერებს და
მაშასადამე აღწევს იმავე მიზანს, რასაც
მიაღწევდა საერთო გაფიცვა.

ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვა-
ნესი ტაქტიკური კანონთაგანი მდგომა-
რეობს იმაში, რომ უპირატესობა დამ-
ცემის მხარეზეა, ასე რომ თუ ორივე
მტრის ძალები და სხვა პირობებიც ერ-
თნაირია, ის იმარჯვებს, ვინც პირველი
გადადის შეტევაზე. ეს ადვილი გასაგე-
ბია. კინც პირველი იწყებს შეტევას, ის
ერთი რომ თითონ ირჩევს ადგილს და
მიმართულებას დარტყმისას, და მეორეც
ის, რომ რაკი დარტყმა უკვე მოხ-
და, ამით მოწინააღმდეგე რამო-
დენიმეთ მაინც უკვე დაუძლურებუ-
ლია. ამიტომაც მტრის დაცემას შეძლე-
ბისდაგვარათ უნდა დაუპირდაპიროთ არა
მარტო თავდაცვა, არამედ საპასუხო და-
ცემა, კონტრ-ატაკა. ასე იქცევიან მაგა-
ლითად კაპიტალისტები, როცა მუშა-
თა ნაწილობრივ გაფიცვაზე უპასუ-
ხებენ ფართო ლოკაუტით, ან, პირიქით,
მუშები—ლოკაუტს პასუხს სცემენ საერ-
თო გაფიცვით.

რაც უფრო გამწვავებულია ბრძოლა,
მით უფრო მნიშვნელოვანი უპირატესობა
ეძლევა დამცემს. ამიტომ ზოგჯერ საჭი-
როა ძალების დაუზოგველი ხარჯვა,
ოღონდ კი შეტევის შენარჩუნება შეიძ-
ლებოდეს.

სამხედრო ტაქტიკა ყველაზე უფრო

საქართველოს კომუნისტური პარტიის ყველა ორგანიზაციებს და წევრებს.

ძვირფასო ამხანაგებო! „საქ. **კომუნი-**
სტი" გამოდის „ბრძოლის" მაგიერ.
ის მუშაობს და გლეხების გაზეთია; იგი
რიგორც „ბრძოლა", ისე „საქ. კომუნის-
ტიც" დაიცავს მთელი მშრომელი მასსის
ყველა დაჩაგრულთა და შეკვეწრებულთ
ინტერესებს. აშკარაა, რომ თავისი ორ-
განო თვით მუშებმა და გლეხებმა უნდა
ასაზრდოონ.; თვით მუშებმა და გლე-
ხებმა უნდა მისცენ მას ხარჯების სა-
შუალებანი.

ამხანგებო მუშებო და გლეხებო! ედმო-
უჩინეთ თქვენი ხარჯებით ინტერესების და-
მცველ გაზეთს „საქ. კომუნისტს" ნივთი-
ერი და ზნეობრივი დახმარება. მიიღეთ ყო-
ველგვარი ზომები მის გასავრცელებლათ
ფართო მასსაში, გამართეთ ხელის მო-
წერა მის სასარგებლოთ. ამით თქვენ
უზრუნველ ყოფთ მის ხარჯებას.

საქართვ. კომუნისტ. ორგანიზა-
ციების დროებ. ცენტრალური კო-
მიტეტი.

დამუშავებულია აქამდის; სასარგებლოა
მისი შესწავლა იმიტომაც, რომ ის იძ-
ლევა ბევრ გაკვეთილებს სხვა სახის
ტაქტიკისთვისაც — ეკონომიურისა და
პოლიტიკურისათვის. რასაკვირველია,
უნდა გვახსოვდეს პირობათა განსხვავე-
ბაც; სამხედრო ტაქტიკაც ხომ ერთი
მთლიანი რამ არ არის: ერთ შეიარაღებას-
თან, ჯარისკაცთა განვითარების განსაზ-
ღვრულ დონეზე ის ერთია, მეორესთან
სხვა გვარი; საერთაშორისო ომების
დროს სხვა და სამოქალაქო ომების
დროს კიდევ სხვა.

ზოგიერთები ერთმანეთში ურევენ „ტაქ-
ტიკას" და „ტაქტს". ეს დიდი შეცდო-
მაა. თვით სიტყვა „ტაქტი" მიუხედა-
ვათ მზგავსებისა, სულ სხვაგვარია, ის
ლათინური და არა ბერძნული სიტყვა
და პირდაპირ ნიშნავს—შეხებას, დაჭ-
ლიმვას; ჩვეულებრივი მნიშვნელობა მი-
სი—ფრთხილი, ყურადღებით მოპყრობა
სხვისადმი. რათა მასთან საუკეთესო
კავშირი არ შეწყდეს. როგორც ვხე-
დავთ, მისი მნიშვნელობა სულ ერთიანა-
თ ეწინააღმდეგება „ტაქტიკას". ტაქ-
ტი ჩვენ გვესაჭიროება მეგობრებისთვის,
ტაქტიკა კი—მტრების წინააღმდეგ.

ახალი ამბები

— **საზავო ხელშეკრულება რუსეთ-**
სა და სომხეთს შორის. მოსკოვიდან
მოსული ოფიციალური ცნობით საბჭო-
თა რუსეთმა ხელშეკრულება დასდო
სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციასთან
მოსკოვში. საბჭოთა რუსეთის ელჩათ
ერევანში დანიშნულია ძველი კომუნის-
ტი ამხ. ლეგრანი.

— დღეს, 1 ივლისს სადამოს 7 სა-
ათზე შესდგება მე-4 რაიონის საბჭოს
სხდომა. საბჭოს წევრების დასწრება
და პასუხმგებელი ამხანაგებისა მე-4
რაიონისა სავალდებულოა.

— **საქართველო-აზერბაიჯანის სა-**
ვაჭრო დამოკიდებულება. მთავრობის
დადგენილების თანახმად ფინანსთა სა-
მინისტრომ გამოიმუშავა ინსტრუქცია
ზაქათალის ოლქის საბაჟოსთვის. ინსტ-
რუქციაში აღნიშნულია, რომ ზაქათა-
ლის ოლქის მცხოვრებთ დროებით ნება
ეძლევათ შეიტანონ და გამოიტანონ სა-
ბაჟოებით მცხოვრებლებ-ვის საჭირო სურ-
სათი, მანუფაქტურა სამეურნეო მანქანე-
ბი და სხ. ეს ნებართვა არ ვრცელდება
იმ საქონელზე, რომელიც სახელმწიფოს
მონოპოლიას შეადგენს, ე. ი. მატყლზე,
აბრეშუმზე და თუთუნზე. ნებადართულ-
ია მხოლოდ ისეთი საგნების შეტანა,
რომელიც მცხოვრებთ ძლიერ ესაჭირო-
ებათ. ინსტრუქცია ავალებს საბაჟოებს
ფხიზელი თვალყური ადევნონ, რომ სპე-
კულიანტებმა არ ისარგებლონ და მე-
ზობელ რესპუბლიკაში საქონელი არ
გაიტანონ. ყველა ოპერაცია იწერება
საგანგებო წიგნში. საბაჟოებმა ყოველ-
თვიურად უნდა წარადგინონ ფინანსთა
სამინისტროში დაწვრილებითი ცნობე-
ბი რა და რამდენი გაიტანეს და შე-
მოიტანეს და სხ.

— **თევზის მრეწველთა შუამდგომ-**
ლობა. თევზის მრეწველთა კავშირი
ვაჭრობა მრეწველობის საბჭოს დეპუ-
ტატთა დახმარებით მთავრობის წინაშე
ეწევა შუამდგომლობას, რათა მთავრო-
ბამ დაიცვას მათი ინტერესები აზერ-
ბაიჯანის მთავრობის წინაშე. თევზის
მრეწველთა საბჭო აღნიშნავს, რომ
ძლიერ მდიდარი სამრეწველოები გადა-
ტრიალების წინ მრეწველებმა იქ უამ-
რავი ფული გაგზავნეს თევზის სასყიდ-
ლათ. გადატრიალების წყალობით აზერ-
ბაიჯანში დარჩა ფულიც და თევზიც,
რის გამოც თფილისში თევზის ნაკლე-
ბობაა, რადგან თფილისში თევზი მხო-
ლოდ ბაქოს რაიონიდან მოდიოდა. ახ-
ლა თევზის მრეწველებს მოელის საშრეწ-
ველოების ნაციონალიზაცია. ამასთან
ერთად მრეწველები გადასახადთა ამ-
კრეფ სამმართველოს სთხოვენ, რომ და-
მატებითი გადასახადების დროს მიღე-
ბულ იქნას მხედველობაში შექმნილი
მდგომარეობა.

გიულესტანი პრესგიუროსი

რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობასთან საქართველოში.

რუსეთის დელეგაციის რუსეთ-საქარ-
თველოს კომისია სამხედრო გარანტიე-
ბისა ყოველივე ღონეს ხმარობს დააჩქა-
როს წინასწარი მუშაობა რუსეთში და-
საბრუნებლად ყველა საქართველოში ინ-
ტერვენციის სახით მყოფ „სამხრეთ რუ-
სეთის შეიარაღებულ ძალთა" ყოფილი
წევრებისა, თანახმად საზავო ხელშეკრუ-
ლებისა.

რადგან ამდენ ხანს რუსეთის დელე-
გაციას არა აქვს გარკვეული ცნობე-
ბი მოცემული, სად იმყოფებიან გასა-
გზავნი პირნი ან და რამდენია მათი
რიცხვი, ამიტომ დელეგაცია ფართო
ზომებს ღებულობს გააგებინოს დაინტე-
რესებულ პირთ ამ საქმის შესახებ, მით
უმეტეს, რომ უქონლობა დასახელებულ
წინასწარი ცნობებისა ძლიერ აფერხებს
მუშაობას.

აუცილებლივ საჭიროა გაგება ყველა
დაინტერესებულ პირთა პირადი უნარი-
სა, სურვილისა, ვარგისობა მათი ამა თუ
იმ საქმეზე და სხვა.

გარდა ამისა, რომ ახლოვდება დანიშ-
ნული დრო ამ მუშაობის გათავებისა,
თანახმად მე-8 მუხ-სა რუსეთის დელე-
გაცია საჭიროდ სცნობს დამთავრებულ
იქმნას ეს მუშაობა კიდევ იმ მოსაზრე-
ბით, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში
იმყოფება საკმაო დიდი ნაწილი აფიცერ-
ჯარისკაცებისა. მათი მდგომარეობის
გასაუმჯობესებლად რუსეთში გაგზავნამ-
დის დელეგაცია საჭიროდ სცნობს მო-
წყობილ იქმნას მათთვის საერთო ბინები
და სასადილოები, რისთვის პირველად
ყოვლისა განზრახულია გამოყენებულ
იქნას თბილისში მყოფი რუსეთის წითე-
ლი ჯვრის დაწესებულებანი.

დეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

ბაქო. რევ. კომ. მოისმინა რა საბი-
ნაო კომისიის მოხსენება ბაქოში ჩამო-
სულ წითელ არმიელების ნაწილების
დაბინავების შესახებ დაადგინა: მთელი
ბურჟუაზია გადაასახლოს განაპირა უბ-
ნებში და განთავისუფლებულ ბინებში
წითელ არმიელები მოათავსოს.

მოსკოვი. „იზვესტია" იტყობინება,
რომ ომსკის საგუბერნიო ჩრეზვიჩაიკის
მიერ დაჭერილია მენშევიკების კომიტე-
ტის მთელი შემადგენლობა. მათ ბრალ-
დებათ არა ლაგალურათ პროკლამაციე-
ბის გამოშვება, რომლებიც საბჭოთა
მთავრობის მოქმედების შესახებ ყალბ
ცნობებს შეიცავს.

ბაქო. აზერბაიჯანის გზათა ბიმოს-
ვლის კომისარიატმა რუსეთის საბჭოთა
კომისრებს მიმართა თხოვნით რუსეთის
კომისარიატის წარმომადგენელის გამო-
გზავნის შესახებ, რათა შეთანხმებულათ
შეინუშავონ ზომები, რომ საბჭოთა რუ-
სეთსა და აზერბაიჯანს შორის რკინის
გზით პირდაპირი მიმოსვლა დამყარდეს.

პარიზი. 27. ფოშმა ჟურნალისტებთან
საუბარში განაცხადა: გერმანიის განია-
რაღება და 15,000 ზარბაზნის განადგუ-
რება არ არის ერთად ერთი საშუალე-
ბა საყოველთაო ზავის დასამყარებლადო.

მოსკოვი. საქართველოში მყოფი საბ-
ჭოთა წარმომადგენლობა [illegible]
ივნისს საგ. საქ. სახალხო კომისარმა
ჩიჩერინმა გაგზავნა [illegible]
იტყობინება რომ უცხოელთა გემებს
უფლება აქვთ რუსეთის ნავთსადგურებ-
ში ოდესაში, მურმანსკსა და არხანგელ-
სკში შესვლისა. ზომებს იღებენ ბალ-
ტიის ზღვის რუსეთის ნავთსადგურებში
მოსლისათვის. ეს ნავთსადგურები აგრე-
თვე მალე გაიხსნება უცხოელ გემები-
სათვის.

საბჭოთა საკონსულო თბილისში.
29 ივნისს თბილისში თავისი მოქმე-
დება დაიწყო რუსეთის საბჭოთა საკონ-
სულომ, რომელიც იმყოფება ველიამინო-
ვის ქუჩაზე № 12. გახსნის დღეს წარ-
დგენილი იყო 300 განცხადება გაშვების
ნებართვის შესახებ. სულ მისცეს 50.
საკონსულოს ჯერ-ჯერობით არ შეუმუ-
შავებია არავითარი წესი საბჭოთა რუ-
სეთში შესასვლელ ნებართვათა გაცე-
მისა.

პარიზი. მილიერანმა პარლამენტის
საგ. საქმეთა კომისიას განუცხადა ოსმა-
ლეთის მომავალ დაყოფის შესახებ. მო-
კავშირეებმა გადასწყვიტეს, არ მოსპონ
ოსმალეთი—განაცხადა მან. საჭიროა ეს
სახელმწიფო უზრუნველყოფილ იყოს გან-
საზღვრულ ტერიტორიით. ამ გადაწყვე-
ტილებამ უნდა გამოიწვიოს გადასინჯვა
იმ შეთანხმებისა, რომელიც საფრანგეთ-
სა და ინგლისს ორის იყო დადებული
1919 წლამდის. ოსმალეთი კარგავს და-
სავლეთ და აღმოსავლეთ ფრაკიას. სულ-
თანი რჩება კონსტანტინეპოლში, სადაც
აგრეთვე იქნება სრუტეების დამცველი
მოკავშირეთა კომისია. საფრანგეთი ღე-
ბულობს მანდატს სირიაზე; ინგლისი კი
მესოპოტამიასა და პალესტინაზე. კილი-
კია ოსმალეთის ხელში რჩება. ბერძნე-
ბის მიერ სმირნის ოკუპაცია საბოლოოდ
მოხდება პლებისციტის შემდეგ. საკითხი
ხომხეთის შესახებ ისევ ღია არის, რად-
გან ჯერ-ჯერობით არც ერთმა სახელ-
მწიფომ არ განაცხადა თანხმობა მისი
მანდატის აღებისა.

პარიჟი. „ტანი" ათავსებს საგანგებო
წერილს საქართველოს შესახებ. წერი-
ლის ავტორი ბ. ყანტიზენი წერილის
თავში იძლევა მოკლე რეზიუმეს საფრან-
გეთ საქართველოს დამოკიდებულობის
შესახებ. საქართველოში, ამბობს ავტო-
რი, ყოველთვის დიდი იყო საფრანგეთის
გავლენაო. რუსეთთან დამოკიდებულე-
ბამდის საქართველომ ლუი მე 14-სთან
დანიშნა თავისი ელჩი. ნაპოლეონს
გეგმაში ქონდა საქართველოსთან კავში-
რის შეკვრა. მაგრამ ტილზიტის შემდეგ
საქართველოს 117 წლის განმავლობაში
მოესპო საშუალება საქართველოსთან
დამოკიდებულობის დაჭერისა. შემდეგ
დადგა ხანა საქართველოში საფრანგე-
თის გავლენის თანდათან დაცემისა. ამა-
სთანავე ავტორი ადასტურებს, რომ ინ-
გლისს ძალიან ცოტა გავლენა ქონდა
საქართველოზეო. ამავე დროს ძლიერი
იყო გერმანელების გავლენა, რასაც ხელი
შეუწყო იმან, რომ 1918 წელს გერმანე-
ლებმა საქართველო გადაარჩინეს ოსმა-
ლეთის შემოსევისაგანო. გერმანულ გავ-
ლენის გაძლიერებას ხელი შეუწყო კავ-
კასიაში მყოფმა გერმანელმა კოლონის-
ტებმაც. საქართველოში მრავალი გერმა-
ნელი სამეცნიერო ექსპედიცია იყო ამ
ქვეყნის საფუძველიანათ შესწავლის მი-
ზნით მოწყობილი. შემდეგ ავტორი აღ-
ნიშნავს, რომ საჭიროა ზომების მიღება
ქვეყანაში საფრანგეთის გავლენის გაა-
ძლიერებლათ, კერძოთ საჭიროა საქარ-
თველოში ფრანგული ენის გავრცელე-
ბაო. ავტორი წინადადებას იძლევა, სა-
ნამ დაგვიანებული არ არის, გავაგზა-
ნოთ ფრანგი მასწავლებლები ტფილის-
ში და საქართველოში ფრანგული ლ-
�ეიც კი დავაარსოთ. ავტორი აღნიშ-
ნავს აგრეთვე საქართველოსთან სავა-
ჭრო დამოკიდებულების საჭიროებას.

სოციალისტ-რევ. ც. ბ. წევრის ბ. ფორტუნატოვის წერილი—ესკიზები.

(ობივატელობამ დალუპა ს.-რ. პარტია უკვდავი წარსული დაუტოვეთ დალუპულთ. მიეკედლეთ ერთ მთლიან სოციალისტურ რევოლიუციის პარტიას).

ამხანაგებო! რევოლიუცია რუსეთში
დამთავრდა. რევოლიუცია აღმოსავლეთ-

ში და დასავლეთში ინთება. დაწყებული გიგანტიური ბრძოლის ფარგლები ნათელია. ყველა საშუალო ფორმები ცხოვრებისგან იშლება, და ბრძოლის ფრონტმა, გასჭრა რა სხეული მამაკვდავ მეორე ინტერნაციონალისა,—მსოფლიო ბარიკადის ორ სხვა და სხვა მხარეზე დააყენა ყოფილი ამხანაგები.

ორი იდეით იფარგლება ფრონტის ხაზი:—საბჭოები, როგორც ფორმა ძალა-უფლებისა და დიქტატურა პროლეტარიატის, როგორც საშუალება მტრის გატეხისა.

ამ დაწყებულ დიად მრისხანე დღეებში ქანაობა არ შეიძლება, რადგან ბრძოლის პირობები დაისახა უკვე მსოფლიო მაშტაბით და ისინი არ შეიცვლებიან, და როდესაც მთელ მსოფლიოში თვით ცხოვრება ქმნის ფაქტიურად ერთ პარტიას სოციალური რევოლიუციისა,—თითეულმა სოციალისტმა უნდა მოახდინოს არჩევანი ან და სამუდამოთ გასცილდეს ბრძოლის ფრონტს.

ეს კითხვა დგას ყველა ჩვენს წინაშე კერძოთ და სოციალ-რევოლიუციონერთა პარტიის წინაშე საერთოდ.

საშინელი დანაკლისი გაიღო პარტიამ თვითმპყრობელობასთან ტეროროისტულ ბრძოლაში.

საუკეთესონი ჩვენს შორის სამარეში განისვენებენ, ცოცხლად დარჩენილნი კი უღირსნი გამოდგნენ დაღუპულთა სახელისა. და ამიტომ, შეიძლება, პარტიამ თებერვლის რევოლიუციიდანვე დაიჭირა ორმაგი და მოქანავე პოზიცია, და ამიტომვე ისტორიამ თავისი შეუბრალებელი სამჯავროთი მოგვისაჯა დაღუპვა, რადგან ათასობით გმირები, მზად მყოფნი მსხვერპლად დაედოთ თავისი სიცოცხლე, წავიდნენ ბალშევიკებთან, ობივატელობა კი მილიონობით ნიაღვარივით შემოიჭრა ჩვენს პარტიაში და... კიდევაც წალეკა იგი.

შემდეგ მომხდარი ამბები გაგრძელება იყო დასაწყისისა.

პარტიამ შექნა ვოლგაზე თავისი სახელმწიფო, მაგრამ თავისი არმიის შედგენა მან ვერ შეძლო, პარტიამ არ მიიღო მონაწილეობა ციმბირის ტაიგაში სტიქიურათ ამოხეთქილ გლეხების ამბოხებაში კოლჩაკის წინააღმდეგ და, ბოლოს, როდესაც აჯანყდა ვოლგის მხრის ცხენოსანი არმია, მაშინაც კი, ჩვენ მიერ გამოწვეულ ამბოხების მომენტშიც, ჩვენთან წამოვიდა მინდორ [illegible] მხოლოდ რამდენიმე წევრი პარ[illegible]ტიისა.

მაშინ ცხადი შეიქნა, რომ ჩვენი უკვდავი წარსული ეკუთვნის მხოლოდ მიცვალებულთ წარსულშივე.

ამხანაგებო, მე მივმართავ თქვენში იმათ, ვინც სულით რევოლიუციონერია. სოციალისტური რუსეთი უკვე ანთებს მსოფლიო სოციალურ ცეცხლის ალს.

ეს დღენი არ განმეორდებიან, ამხანაგებო!!

ამ დღეებში მხოლოდ ობივატელს შეუძლია იდგეს განზედ და აკრიტიკოს ის პარტია, რომელმაც გაატარა რევოლიუცია და რომელიც, გამარჯვებული, [illegible] ბრძოლაში, მთელ მსოფლიოში ობიექტიური აუცილებლობა აერთებს რევოლიუციის ყველა მუშაკთ ერთ პარტიაში. ჩვენი ვალია შევასრულოთ ეს აქ და ან ერთად დავიხოცნოთ და ან ერთადვე გავიმარჯვოთ.

პარტიული ცხოვრება

სოფ. ნაესაკოვი (აბაშის რაიონი).

გამოცხადდა თუ არა ჩვენი პარტიის ლეგალიზაცია, ს. ნაესაკოვში და ს. ცოორში დაარსდა კომუნისტური ორგანიზაციები და თანახმად ინსტრუქციისა შევუდექით პარტიულ მუშაობას ლეგალურ ფარგლებში.

პარტიაში შედიან გამოცდილნი სოფლის მუშები და ქალაქის მუშებიც, რომლებიც დარჩენილნი ყოფილან ქალაქს გარედ. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ქალაქში სამსახურში არ მიუღიათ „ბალშევიკობის“ გამო.

ხალხი პირველათ ეჭვის თვალით შეხვდა პარტიის ლეგალიზაციას, ეშინოდათ მოტყუილება არისო, მაგრამ, როდესაც დარწმუნდენ, სიხარულით ეწერებიან პარტიაში. იმართება პარტიული კრებები გამოცდილი ამხანაგების ხელმძღვანელობით.

თანდათან აღწევს თავს ჭორების ქსელს ხალხი, რომ ბალშევიკები არ ყოფილან კაციჭამიათა პარტია, როგორც მათ არწმუნებდენ სიტყვით და სხვადასხვა ფორმითაც, არამედ ნამდვილი მშრომელი ხალხის პარტია. გაიგეს ისიც, რომ ბალშევიკები არ ართმევენ სახლ-კარს, ეზოს და მიწას მიწის მუშას, როგორც უქადაგებდენ ზოგიერთი პირები.

ასე რომ ხსენებულ სოფლებში ორგანიზაციული მუშაობა მიმდინარეობდა ნორმალურ კალაპოტში, მხოლოდ ცოტა ხელი შეგვიშალა დ. აბაშის ბიუროს დაშლამ და იქაური ამხანაგების დატუსაღებამ. ასეთია ჩვენი პარტიის ხვედრი!

აბაშის ამხანაგების განთავისუფლების შემდეგ, კვლავ განახლდა აბაშის ბიუროს მოქმედება და ხსენებულ სოფლებშიაც სწარმოებს ძველებურად პარტიული მუშაობა.

ვასკაჭ.

პირველ რაიონში.

ხუთშაბათს, 24 ივნისს, მე-6 და მე-7 (რკ. გზ. სახელოსნოს მუშების) იაჩეიკების წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ამხ. ნ—ძის მოხსენება თანამედროვე მომენტზე და საქ. კომუნისტ. პარტიის დელეგატების თათბირის დადგენილებათა შესახებ.

შაბათს, 26 ივნ. მოხდა მე-12 (რკ. გზ. სამმართველოს) იაჩეიკის წევრთა საერთო კრება, რომელმაც ამოირჩია რაიონში ახალი წარმომადგენელი და შემდეგ მოისმინა ამხ. ნ—ძის მოხსენება მეორე ინტერნაციონალის ისტორიის შესახებ, რასაც მოხსენებელი შეეხო მოკლეთ და უფრო საყურადღებოდ [illegible] ყურადღებას გადმოცემით. უნდა აღვნიშნოთ, რომ თავისუფალი ბინის უქონლობა კრებებისთვის ძალიან უშლის ხელს მეცადინეობის წესიერათ წარმოებას და საჭიროა რაიონულმა საბჭომ რაც შეიძლება მალე მოაგვაროს ეს საქმე.

გ. კ—ძე.

თელავიდან გვწერენ: „ნადირობა ჩვენზე ძლიერ გახშირდა, სამი ამხანაგი უკვე დაიჭირეს... საშა წულუკიძის მოსაგონებელ პანაშვიდის გასამართავათ შენობა არავინ არ მოგვცა—არც მუშათა კლუბმა, არც სხვა კლუბებმა. როცა ჩვენ გვჭირდება, იმ დღისთვის ყოველთვის დაკავებულია. მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა კლუბს ერთი კვირით ადრე მიკმართეთ, მაინც არ დაგვითმო და ამ რიგათ საშა წულუკიძის სამოქალაქო პანაშვიდს ვერ ვმართავთ...“

სამტრედია

13 ივნისს მოხდა პირველი ლეგალური კრება კონდუქტორთა იაჩეიკისა, რომელზედაც გარჩეული იქნა სხვა და სხვა სადღეისო საკითხები. დაბოლოს გამოტანილი იქნა ერთხმათ რეზოლიუცია, სადაც მხურვალე სალამს უძღვნიან ახლათ გამოსულ გაზეთს „საქარ. კომუნისტს“ და მზათ არიან შეძლების დაგვარათ დახმარება გაუწიოს როგორც სულიერათ, აგრეთვე მატერიალურათაც, რადგან დარწმუნებულნი არიან რომ საქართველოში მხოლოთ ერთად ერთი გაზეთია მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა დამცველი —გაზ. „საქ. კომუნისტი.“

მონდობილობით **ი. პაპავა**

ჩვენს კორესპონდენტებს

რედაქციას ბლომათ მოდის ე. წ. კორესპონდენციები როგორც სოფლებიდან ისე მუშათა წრეებიდან. საძწუხაროთ მეტი წილი აქ მასალის სრულიად გამოუსადეგარია. კორესპონდენცია სარეკ უნდა იყოს ადგილობრივი საზოგადო საჭიროების, დღიური ჭირვარამის. კორესპონდენტები კი უფრო ზშირათ სტატიებს გვიგზავნიან საერთო, უფრო თეორეტიული სასიათისას. ამხანაგებო! იყავით დარაჯი ადგილობრივი ცხოვრების, თვალყური ადევნეთ მას, ამხილეთ მისი ძახინჯი მხარეები. მხოლოთ ამაშია კორესპონდენციის ღირსება და ფასეულობა.

„საქართვ. კომუნისტის“ რედაქცია.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს

„საქ. კომ.“, როგორც მუშათა კლასის ორგანო, მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავის დანიშნულებას ავსებით ნაყოფიერათ, როცა ისს რაც შეიძლება უფრო მჭიდროთ იქნება დაკავშირებული მუშების და გლეხების ცხოვრებასთან, როცა ის სინამდვილით და სისწორით გააშუქებს ამ ცხოვრებას.

ამიტომ აუცილებლათ საჭიროა, რომ თვითეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, იქნება ეს ქალაქის კომიტეტი თუ საგურბენიო, სამაზრო ან სასოფლო კომიტეტი, ან უბრალო სოფლის ორგანიზაცია იყოლიოს ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი კორესპოდენტი, რომელსაც დავალებული ექნება სისტემატიურათ უგზავნოს „საქ. კომ.“ რედაქციას ყოველგვარი ცნობები, მასალები და სხვა მუშათა და გლეხთა ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები და მასალები რაც შეიძლება მიუდგომლათ, ობიექტიურათ უნდა იყნენ შედგენილი, რის პასუხისმგებლობა თვით ორგანზაციას აწვება.

ცენტრალური კომიტეტი.

პროვინციის ცხოვრება

ქ. გორი. 27 ივნისს, ნაშუადღევის 5 ს. ქალაქის გარეთ, ბაღში, შეიპყრეს პარტიული კრება, რომელიც უნდა შემდგარიყო ბიუროს შენობაში, მაგრამ, რადგანაც ეგი მოუთავებელი იყო და ზიგ კრების გამართვა ყოველად შეუძლებელი იყო, ამიტო ეს კრება ბიუროდან ბაღში იქნა გადატანილი.

კრების დანიშნულებას შეადგენდა ბიუროს მოწყობა და ზოგიერთი საორგანიზაციო საკითხები.

ჯერ კრება გახსნილი არ იყო, აქ იმყოფებოდა ზოგიერთი არა პარტიის წევრნი, რომელნიც კრებას ისე ესწრებოდენ, როგორათაც შემთხვევითი პირნი ან დაინტერესებულნი საქმის მდგომარეობით, როდესაც თავს დაგვეცა ადგილობრივი მილიცია ბ-ნ ბუთხუზის მეთაურობით, ყველანი შეგვიპყრეს (26 კაცი) და გაგვგზავნეს გორის კომისარიატში. აქ დაიწყო ჩვეულებრივი პროცედურა, სადაც გალეშილმა კომისარმა ბ-მა გვარამაძემ, რომ მთავრობას თავისი თავი ერთგულათ მოაჩვენოს და მით უკეთესათ დაფაროს თვისი ბნელი საქმეები იწყო ყვირილი, ლანძღვა-გინება და ისე გათამამდა, რომ სამს შეპყრობილთაგანს ძალზე სცემა დაკითხვის დროს.

გათავდა რა ყველა ეს ამბავი, ღამის თორმეტი საათის ნახევარზე ქურდულათ გამოგვიყვანეს სადგურის ვაგონ-საპყრობილეში, საიდანაც ქუთაისის ციხეში გაგვგზავნეს.

ჩვენს განცხადებაზე, რომ მათ ჩვენი შეპყრობისა არავითარი უფლება არა აქვთ, ვინაიდან ბიუროს გახსნაზე ჩვენ კანონიერი საბუთი გვქონდა და თუ კრება ბაღში გავმართეთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ ბიუროში კრება ჯერ შეუძლებელი იყო-გასავალი არა ჰქონდა. ისინი გვიპასუხებდენ: „ლეგალიზაცია მართალია, მაგრამ ის ხომ ხვალაც არ უნდა იქნესო“.

ყველა დატუსაღებული ამხანაგები სალამს უძღვნიან ს. კ. პარტიას და მის ორგანოს. მათ სწამთ, რომ მალე მოიპოვებენ ძალას. თავი დააღწიონ დევნას და მოიპოვონ სრული თავისუფლება.

გიო ქართელი.

წერილი გურიიდან.

1917 წლის რევოლიუციის შემდეგ მთელ გურიას ჯალიასავით მოედო მენშევიკების აგიტატორ-პრაპაგანდისტები, რომლებმაც თავისი ორჭოფული და მატყუარა პოლიტიკის წყალობით შესძლეს ხალხის თავის მხარეზედ გადმობირება, შექმნეს ორგანიზაციები დაარსეს იაჩეიკები, კოლეკტივები, თითქოს ყველაფერა რიგზე და წესზე მოაწყვეს და როგორც თვითონ ამბობდენ შეჰქმნეს გურიიდან „რევოლიუციის“ ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მენშევიზმის ავანგარდი. გურია შეიქმნა მენშევიკების ძლიერების ბუდეთ, მათ ბაზათ და მათი არსებობის საძირკველათ მაგრამ ნათქვამია „წყლის კოკა წყალზე გატყდებაო“. მენშევიკებს მათი ძლიერების ბუდე, გურია, ხელიდგან ეცლებათ მათი არსებობის საძირკველი ინგრევა და ამით ძირ-ბუდიანათ იცვლება როგორც გურიის ისე საერთოთ მენშევიკების პოლიტიკური მდგომარეობა.

რევოლიუციის პირველ ხანებში გურიის ხალხი ბევრს უჯერებდა მენშევიკებს და ბევრის გაკეთებას მოელოდა მათგან, რადგანაც მაშინ ისინი სიტყვით წააგავდენ ნამდვილ სოციალისტებს. მაგრამ როდესაც ხალხმა ცარიელი დაპირების მეტი ვერაფერი მიიღო, თავის „მასწავლებლებს“ უნდობლობის თვალით დაუწყო ყურება; ეს უნდობლობა რა თქმა უნდა თანდათან ძლიერდებოდა და ბოლოს მძულვარებათ გადაიქცა. პირველათ მენშევიკების რაზმები ნელ-ნელა თითქმის შეუმჩნევლათ თხელდებოდა, გასული წლის ოქტომბრიდან ეს მოვლენა საგრძნობი შეიქმნა და ბოლო ხანებში იმდენათ გაძლიერდა რომ ანგარიშ გასაწევ დიდ მნიშვნელოვან ფაქტად გახდა. იყო შემთხვევები მენშევიკების „იაჩეიკების“ და ორგანიზაციების დაშლისა. მათი მომხრეების ჩვენ მხარეზე გადმოსვლა ხომ ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. მათი წვრილ ფეხა აგენტები, „პაწია ლიდერები“ რაკი ჰხედავენ თავის აღსასრულის მოახლოებას ცდილობენ მენშევიზმის რღვევის პროცესის შეჩერებას, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოა, მშრომელი ხალხი ჩამოშორდა, მათ აღარაფერში ენდობა და აღარაფერს დაუჯერებს. ახლა მენშევიკების მომხრენი არიან. მცირე ნაწილი ყოფილი წევრებისა, თითო ორ-ოლა კოლექტივის წევრები, სოფლის „კულაკები“ და ჩარჩ—სპეკულიანტები, რადგანაც უკანასკნელნი მენშევიკების მფარველობის ქვეშ თავს უშიშრათ გრძნობენ. ყველა ესენი მაინც არ ცხრებიან და პროვაკაციული ხმებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ კომუნისტებს. ვინ მოსთვლის რამდენ სიცრუეს ლაპარაკობენ მუშების ძალა-უფლების უვარგისობაზე, ვითომდა ანარქიაზე რომელსაც მუშების მიერ ძალა უფლების ხელში აღება გამოიწვევს; საბჭოთა რუსეთი ხომ სულ ყბად ჰყავთ აგდებული და მუდამ იქაური წესების უვარგისობაზე ლაპარაკობენ. საბედნიეროთ გამგონე არავინ ჰყავთ და უმეტეს შემთხვევაში მათი ხმა რჩება ხმათ უნაყოფოთ მღაღადებელისა... ის მცირე ჯგუფი რომელიც ჯერ კიდევ ყურს უგდებენ მათ „ქადაგებას“ და ჯერ-კიდევ არ მიმხვდარან თუ ვინ აკეთებს მუშათა საქმეს და მიისწრაფვის სიმართლისაკენ, იმედია ადრე მიხვდებიან ვისთან ერთათ სჯობია სიარული და ვინ უფრო ადრე მიიყვახს შრომის და სამართლიანობის სამეფოში.

კ. გომელი.

მისალმებანი

ოზურგეთიდან.

გაუმარჯოს „საქ. კომუნისტს“! მოგილოცავთ გამოსვლას და გალაშქრებას ყოველ მხრიდან შემოსეულ მტრებზედ. ჩვენ გვწამს, რომ „საქ. კომუნისტი“ შეუპოვრად მოიგერიებს იმ იერიშებს, რომელიც ყოველ მხრიდგან მოაქვთ მასზედ დემაგოგ მტრებს.

ჩვენ გვწამს, რომ „საქ. კომუნისტი“ შესძლებს ჩვენი სიმართლის აღდგენას და იმ პრავაკაციონური შავი ფარდის დაფხრეწას, რომელიც ჩვენმა მტრებმა თავიანთი მუხანათური ხელით გარს შემოახვიეს ჩვენს პარტიას.

მოგესალმებით „საქ. კომუნისტო“ და აღგითქვამთ დახმარებას ყოველნაირს და ყოველგვარს. აღფრთოვანებით შევეგებეთ გასაძლიერებელი ფონდის მოკრებას, რომელსაც მახლობელ ხანში გამოვგზავნით.

მაშ გაძლიერდეს „საქ. კომუნისტი“, ნის მტრების დამარცხებით!

საქ. [illegible] ოზურგეთის რაიონის [illegible] განიზაციების **პრეზიდიუმი.**

წერილი რედაქციის მიმართ

12 ივნისს ოზურგეთის ციხეში გუ[illegible] შემზარავი ამბავი მოხდა. დილის საათ[illegible] 10-ზედ ვიღაც უცნობმა მილიციონე[illegible] მა ციხიდან გაიყვანა ლუსაღი მელქის[illegible] დეგ სალუქვაძე, რომელიც შეპყრობ[illegible] ლია იქვით. ტუსაღებმა ეჭვის თვალ[illegible] შეხედეს ამ უცხო მილიციონერს, მა[illegible] რამ მეტი ღონე არ იყო, ისევ ელოდ[illegible] რა მოხდებოდა. შუადღის 2 საათ[illegible] მოიყვანეს სალუქვაძე, რომელსაც სიცხ[illegible] ცხლის ნიშნები არ ეტყობოდა. რო[illegible] გონს მოიყვანეს წყლის შხურებით, [illegible] ლუქვაძეს არ უნდოდა ეთქვა რაც მო[illegible] ვდა, მაგრამ ტუსაღების დაჟინების შ[illegible] დეგ იმან—გვიჩვენა კისერი და ფეხ[illegible] სადაც ნათლად ეტყობოდა ბაწრის მ[illegible] ნაჭირები ნიშნები და გასივებულ-დ[illegible] ლურჯებული ადგილები. მერე გვიამბ[illegible] ცრემლის დენით: „აქედან რომ გამიყვ[illegible] ნა მილიციონერმა, ჭიშკართან დამხვ[illegible] თ. მუხაშარია, რომლებმაც წამოიყვან[illegible] შვიდ ვერსის სიშორეზე ტყეში, ამო[illegible] ღეს ბაწარი, მომაბეს კისერში, ჩამომკ[illegible] დეს ხის ტოტზე, დაეკიდნენ ორივემ ერ[illegible] კედრიდგან და ამიყვანეს კისრით დაკ[illegible] დული მთელ სიმაღლემდის. რო[illegible] გრძნობა დავკარგე, ჩამომიშვეს, თვი[illegible] მუხაშარიამ მცემა წიხლი გულზე და თ[illegible] მიძახდა: გატყდი სად გაქვს ფული გ[illegible] დამალულიო; შემდეგ ფეხით დამკიდ[illegible] და კიდევ გრძნობა რომ დავკარგე, ჩ[illegible] მომიშვეს და წყლით მომასულიერესო შ[illegible] დეგ წამომიყვანეს და მუხაშარია გზა[illegible] მეშუქრებოდა არსად მეთქვა ეს მა[illegible] მოქმედება, რადგან ამას ჩადის ის დ[illegible] ვალებითო—დაამთავრა ტუსაღმა. ტ[illegible] საღებმა მოთხოვნილება წარუდგინ[illegible] ციხის უფროს ერთ საათში მოეყვან[illegible] ექიმი და მთელი ადმინისტრაცია დ[illegible] როცა დრო გავიდა და არავინ მოვიდ[illegible] —მთელ კამერებში მოხდა არეულობ[illegible] რის შემდეგ სწრაფ მოვიდა ექიმიც დ[illegible] ადმინისტრაციაც. გაშინჯეს ტანჯულ[illegible] სალუქვაძე და ოქმი შეაყენეს. დარწმუ[illegible] ნებული ვართ კანონიერი მსვლელობ[illegible] ექნება ოქმს და დამნაშავე—ჯალათი მუ[illegible] ხაშარია, რომელიც რესპუბლიკაში მ[illegible] მართავს ბარბაროსულ წესებს, სასტ[illegible] კათ დაისჯება.

„სახალხო გაზეთს“ ვსთხოვთ გადაბ[illegible] ჭდოს ეს ჩვენი წერილი.

ტუსაღი.

ოზურგეთის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც ბიურო დაა სადამბიით 5—7 ნახ. საათამდე.

ოზურგეთის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

ამხანაგების საყურადღებოთ!

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსოვეტის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით მოთავსებულია რუსოვეტის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო დაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღამოს 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალინინის ტ ებრალიძის შენობაში (მუშათა [illegible] ნში), აქვე მოთავსებულია დროებ[illegible] გურიის კომიტეტი საქართველოს ახ[illegible] გაზდათა კომუნისტური პარტიისა.

რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმ[illegible]

ეტამბა კოზლოვსკის მემკვიდრეებისა, რუსთაველის პროსპ; № 12.